შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№47 (9.661)

13-20 დეკემბერი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ახალი მანქანები - დედოფლისწყაროს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ახალი მანქანები გადაეცა. პროექტი სსიპ „სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის“ ავტოპარკის განახლების ფარგლებში საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში განხორციელდა.

ახალი ავტომობილები უახლესი სამედიცინო აპარატურითაა აღჭურვილი და მისადაგებულია ჩვენი მუნიციპალიტეტის რთულ რელიეფურ პირობებთან.

განახლებული ავტოპარკი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა, საკრებულოს წევრებმა და მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დაათვალიერეს და ადგილობრივ სამედიცინო პერსონალს გაესაუბრნენ. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები სსიპ „სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის“ დირექტორს თეიმურაზ ხარაშვილსაც შეხვდნენ,რომელიც დედოფლისწყაროს სპეციალურად ამ დღისთვის ეწვია.

თეიმურაზ ხარაშვილის განცხადებით, ეკიპაჟების უახლესი ტექნიკით სრულად აღჭურვა წლის ბოლოსთვის დასრულდება. მომავალ წელს დაგეგმილია

სასწრაფო დახმარების პერსონალის გადამზადება,ასევე მათთვის ახალი ფორმების შეძენა და ხელფასების ოცდაათი პროცენტით მომატება.

ვასილ სამადაშვილი (დედოფლისწყაროს სასწრაფო დახმარების სამსახურის ხელმძღვანელი): „ძალიან ამორტიზებული ბაზა გვქონდა და აუცილებელ განახლებას მოითხოვდა. სულ ვფრთხილობდით, სულ ხარხეზებისთვის მზადყოფნა გვქონდა. ახლა კი სამი მაღალი გამავლობის ავტომობილი გადმოგვეცა. აქედან, მოშორებული მანძილის გამო ერთი ბრიგადა ქედების ზონაში გავანაწილეთ, ორი კი დედოფლისწყაროში რჩება. ყველანაირად აღჭურვილია ეს მანქანები და მოულოდნელი სიხარული იყო. გაუთავებელი პრობლემებიდან ამჯერად პერსონალს უკვე სრულ კომფორტში უწევს მუშაობა და ყველას დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ.“

ნიკოლოზ ჯანიაშვილი (დედოფლისწყაროს გამგებელი): „ეს ის სამსახურია, რომელზეც უამრავი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობაა დამოკიდებული, ხშირად წამები გადამწყვეტია, ამიტომ კომფორტულ მუშაობას მათთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ავტოპარკის პრობლემები კი მათ დაგვიანებას და სხვადასხვა პრობლემებს იწვევს, ამჯერად კი სრულად განახლდა დედოფლისწყაროს სასწრაფო დახმარების სამსახურის ავტოპარკი და ძალიან დიდი სიხარული იყო ჩვენთვის. ყველას დიდი მადლობა ამისთვის, მათ შორის კახეთის გუბერნატორს, ირაკლი შიოლაშვილს. ჩვენი რაიონის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით ეს საჩუქარი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს“.

ვინ როგორ დაითვლის ქულებს?

სოციალურად დაუცველთა შეფასების კრიტერიუმი იცვლება

რამდენიმე წელია, სოციალურად დაუცველთა რიგებში მოხვედრის მეთოდოლოგია მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს . აქილევსის ქუსლს კი სარეიტინგო ქულების მინიჭების სისტემა და მისი დაანგარიშების წესი წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან არაერთხელ გაკეთებულა განცხადება მითითების დონეზე, თუ რა საყოფაცხოვრებო ნივთების ქონა შეიძლებოდა არ ჩათვლოდათ იმ ადამიანებს, ვინც სოციალური დახმარების მიღების მოლოდინში იყვნენ, ეს დირექტივები საქმეს არ შველოდა...

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დაიწყო რეფორმები ამ სისტემაში, თუმცა, ხალხის ნაწილი დღემდე მიიჩნევს, რომ სარეიტინგო ქულების მინიჭების არსებული წესი ადამიანებს მაინც არათანაბარ პირობებში აყენებს. „ზოგიერთი ისეთი იღებს სოციალურ დახმარებას, რომელსაც მატერიალურად სულაც არ უჭირს, ხოლო მას, ვინც მართლაც უკიდურესად გაჭირვებულია, მაღალი ქულები მოსდის“-აცხადებენ დედოფლისწყაროში. მოსახლეობის უკმაყოფილებისა და უნდობლობის მსხვერპლნი ზოგჯერ სოციალური აგენტებიც ხდებიან. ზოგი თვლის, რომ სწორედ მათი ნება-სურვილის მიხედვით ხდება სარეიტინგო ქულების მინიჭება. „არ ვიცით, სოც. აგენტები ანკეტაში რას წერენ ისეთს, რომ ღატაკები სიღარიბის ზღვარს მიღმა ვრჩებით“-ხშირად გაიგონებთ მსგავს ფრაზებს მოსახლეობისგან.

2015 წლიდან სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სტატუსის მინიჭების ახალი მეთოდოლოგია ამოქმედდება. აღნიშნულ საკითხზე მუშაობა სოციალური მომსახურების სააგენტომ, „უნისეფთან“ ერთად, 2013 წლის სექტემბერში დაიწყო. ამჟამად მოქმედი მეთოდოლოგია მოძველებულია და საჭირო გახდა სარეიტინგო ქულების დათვლის ისეთი სისტემის შემუშავება, რომელიც სტატუსის განსაზღვრისას ორიენტირებული იქნება ოჯახების შემოსავლებზე (ან შემოსავლის მომტან ქონებაზე) და არა ხარჯებზე. ანუ სოციალურად დაუცველის სტატუსის მიმღები შეიძლება გახდეს ოჯახი, რომელსაც არ აქვს შემოსავალი ან შემოსავლის მომტანი რაიმე სახის ქონება. მაგალითად: დამატებითი ბინა, სახნავ-სათესი სავარგულები, ავტომობილი. პირველადი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, საყოფაცხოვრებო საგნები (მაცივარი, სარეცხი მანქანა, გაზქურა, წყლის გამათბობელი, კონდიციონერი, ტელევიზორი,) სარეიტინგო ქულებზე გავლენას არ მოახდენს. სარეიტინგო ქულების განსაზღვრისას მხედველობაში აღარ მიიღება სოციალური აგენტის სუბიექტური მოსაზრება, რაც მინიმუმამდე დაიყვანს არაობიექტურ ქულათა რაოდენობის მინიჭების შესაძლებლობას. გათვალისწინებული იქნება თავად ოჯახის საჭიროებები (თუ ოჯახში არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ქრონიკული ავადმყოფი და ა.შ.).

მოხდება სოციალურად დაუცველების დიფერენცირება ანუ რამდენიმე ჯგუფად დაყოფა. ყველაზე გაჭირვებული ოჯახები მეტ დახმარებას მიიღებენ. 30 000 ქულის ქვემოთ ოჯახის ნებისმიერი წევრი მიიღებს 60 ლარს, ხოლო 60 000-დან 65 000 ქულამდე - 30 ლარს. ოჯახის ყველა წევრი, ყველა დონეზე თანაბარი დახმარების მიმღები იქნება, ნაცვლად ამჟამინდელი მეთოდისა, როცა ოჯახის უფლებამოსილი პირის დახმარება 60 ლარით, ხოლო ყველა დანარჩენის კი - 48 ლარით განისაზღვრება.

სიახლეა ყოველ ბავშვზე 10 ლარიანი დანამატი, რომელიც მეთოდოლოგიაში „უნისეფის“ რეკომენდაციით ჩაიდო. დანამატი ბავშვზე ყველა ოჯახს დაენიშნება, მათ შორის, იმათ, ვისი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება 65 000-დან 100 00 ჩათვლით, მიუხედავად იმისა, ეს კატეგორია იქნება თუ არა ბენეფიტის მიმღები.

სოციალურად დაუცველთა შეფასების ახალი მეთოდოლოგიის პრეზენტაცია ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში 10 დეკემბერს გაიმართა. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ, ზაზა სოფრომაძემ და სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა, გაიოზ თალაკვაძემ საზოგადოებას გააცნეს აღნიშნული მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები. აქვე მოისმინეს საქართველოში „უნისეფის „ წარმომადგენლის, საშა გრაუმანის შეფასებაც.

საზოგადოების ფართო ფენებს იმედი აქვთ, რომ სარეიტინგო ქულების მინიჭების ახალი მეთოდოლოგია ამჯერად აღარავის ჩააყენებს არათანაბარ პირობებში და სიღარიბის ზღვარს მიღმა აღარ დარჩებიან ის ადამიანები, ვისთვისაც სოციალური შემწეობა შიმშილისგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალებაა.

ინგა შიოლაშვილი

გამგეობელმა მრავალშვილიან ოჯახს წინასაახალწლო საჩუქარი გადასცა

გვ.2

მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს.** თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2015 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 25 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში.

შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი.

იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!

დედოფლისწყაროს გამგეობამ და საკრებულომ კონკურსი გამოაცხადა

გვ.3-6

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2015 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

„შირაქი“ ერთგულ მკითხველს სიურპრიზს სთავაზობს - ვისაც ოთხი და მეტი წლის განმავლობაში ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გაზეთთან, წელიწადში ერთხელ 5 ლარის ღირებულების განცხადების უფასოდ გამოქვეყნების საშუალება მიეცემა.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

C M Y K

ფრანგი სტუმარი დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა ბურგუნდიის რეგიონის იონის დეპარტამენტის გენერალური საბჭოსა და ასოციაცია ,,იონი-კახეთის“ წარმომადგენელს, სენატორ პიერ პორტიეს უმასპინძლა.

შეხვედრა პროექტ ,,ფრანკოფონიის“ ფარგლებში შედგა,რომელიც მიზნად ფრანგული ენის შესწავლასა და პოპულარიზაციას ისახავს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 1 საჯარო სკოლაში ამ სკოლის მოსწავლეების მოთხოვნის საფუძველზე ფრანგული ენის სწავლება დაიწყო. ამ ეტაპზე ეს გახლდათ საპილოტე საგანი, რომლის შესწავლაც მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან დაიწყო და მას მთლიანად სკოლის დირექცია აფინანსებს.

სტუმრის განცხადებით, დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში ფრანგული ენის შესწავლა დაიწყო,რაშიც ასოციაცია ,,კახეთი-იონთან“ ერთად, წვლილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისხელმძღვანელობას მიუძღვის. . ,,ფრანგული ენა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია პოპულარული. მისი შესწავლა ახალგაზრდებს ახალ შესაძლებლობებს მისცემს და შემდგომი წარმატებებისთვის მიღწევაში დაეხმარება “-განაცხადა სენატორმა.

შეხვედრაზე მხარეებმა იონის დეპარტამენტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შემდგომ ურთიერთობებზეც ისაუბრეს.

ბურგუნდიის რეგიონის იონის დეპარტამენტი და კახეთის გუბერნია 2000 წელს დამეგობრდნენ. მას შემდეგ ფრანგულმა მხარემ კახეთის რეგიონში არაერთი პროექტი განახორციელა. ამ ეტაპზე კახეთში იონის დეპარტამენტის პრიორიტეტებს სამედიცინო და განათლების სფეროები წარმოადგენს. ფრანგული ენის შესწავლის პროექტის ფარგლებში ასოციაცია ,,კახეთი-იონის“ წარმომადგენელმა პირველი საჯარო სკოლის ფრანგული ენისა და ლიტერატურის კაბინეტისთვის კომპიუტერული ტექნიკა ჩამოიტანა.გამგებელმა პიერ ბორძიეს აღნიშნულ პროექტის გვერდში დგომისთვის მადლობა გადაუხადა.

პიერ პორტიემ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელთან ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად, მოსწავლეებს პერსონალური კომპიუტერი, ვიდეო პროექტორი და წიგნები გადასცა.”დიდი მადლობა, რომ მოინდომეთ ფრანგული ენის შესწავლა. პირველ ეტაპზე გადმოგცემთ კომპიუტერებს, ვიდეო პროექტორებს და წიგნებს. გპირდებით, რომ წიგნებით კიდევ დაგეხმარებით" — უთხრა მესამე კლასის მოსწავლეებს "იონი კახეთის" წარმომადგენელმა. თავის მხრივ ბავშვებმაც გამოიჩინეს თავი და ფრანგულადაც ისაუბრეს.

ნარჩენების მართვის კოდექსის პროექტი პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო

პარლამენტმა "ნარჩენების მართვის კოდექსის" პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები მეორე მოსმენით განიხილა და დაამტკიცა.

კოდექსის პროექტით ნარჩენების უსაფრთხო განთავსების, დამუშავების, უარყოფითი ზეგავლენის პრევენციის საკითხები და მასთან დაკავშირებული იურიდიული ჩარჩოები განისაზღვრება. კანონის პროექტი მის ეფექტიანად აღსრულების მიზნით ადმინისტრრაციული სანქციების შემოღებას ითვალისწინებს.

"ნარჩენების მართვის კოდექსის" საფუძველზე ცვლილებები 15-მდე კანონში შედის.

აქამდე ნარჩენების მართვის ერთიანი საკანონმდებლო სისტემა არ არსებობდა. როგორც მთავრობა განმარტავს, ნაწილობრივ არსებული რეგულაციები დღევანდელ რეალობას ვერ ასახავს და საერთაშორისო მოთხოვნებს, მათ შორის, ევროდირექტივებს არ შეესაბამება. როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებაში განმარტავენ, პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი ყველა ვალდებულებას ითვალისწინებს, რომელიც ასოცირების ხელშეკრულებაში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ ნაწილშია მოცემული.

გამგებელმა მრავალშვილიან ოჯახს წინასაახალწლო საჩუქარი გადასცა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სოლიდარობის ფონდი შეიქმნა, რომელშიც ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლები და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები გაერთიანდნენ. მათი ინიციატივით, ფონდის წარმომადგენლები პერიოდულად დედოფლისწყაროში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს მოინახულებენ და ნობათს გადასცემენ.

დედოფლისწყაროს გამგებლის ნიკოლოზ ჯანიაშვილის ინიციატივით, სოლიდარობის ფონდის პირველი საქველმოქმედო აქცია სოფელ ხორნაბუჯში განხორციელდა. გამგებელი და სოფლის რწმუნებული მერაბ მაძღარაშვილი სოციალურად დაუცველი ირმა ბუნტურის მრავალშვილიან ოჯახს ესტუმრნენ. მათ სათბობი შეშა, ფქვილი, სასურსათო პროდუქტები და საახალწლოდ ტკბილეული მიართვეს.

ოჯახის დიასახლისი უნარშეზღუდულია და გადაადგილება უჭირს, ამ ფონზე მას ხუთი შვილის და ერთი შვილიშვილის აღზრდა უკიდურეს სიდუხჭირეში დამოუკიდებლად უწევს. ოჯახი თავს ძველ, პატარა სახლს აფარებს.

„ყველაფერი გვიჭირს, გათბობის პრობლემაც გვაქვს. შეშა არ გვაქვს და ეზოში დიდი კაკალი მოვჭერით, მაგრამ ვერაფერში ვიყენებთ, რადგან მისი დაჭრა ვერ მოვახერხეთ. პურს ვერ ვყიდულობთ, ამიტომ სახლში ვაცხობთ. ფქვილიც გვაჩუქეს და ეს დიდი შეღავათი იქნება ჩვენთვის. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო რაიონის ხელმძღვანელობას და ამ ფონდს, რომ ჩვენი პრობლემები გაიზიარეს," — განუცხადა „შირაქს" მრავალშვილიანმა ირმა ბუნტურმა.

ოჯახი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა ერთიან ბაზაშია რეგისტრირებული და სოციალურად დაუცველთა სტატუსს ატარებს. ისინი სხვადასხვა დახმარებებით სარგებლობენ, თუმცა, გამგებლის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის განმარტებით, მათი სურვილი იყო, წინასაახალწლოდ, მუნიციპალიტეტიც გვერდში დადგომოდა ამ ოჯახს, რომელთა პირობები მართლაც მძიმეა.

„თვეში დაახლოებით, ორ-სამ ოჯახს ვესტუმრებით და შეძლებისდაგვარად გვერდში დავუდგებით. ვეცდებით შევუმსუბუქოთ პირობები და ერთი დღე გავულამაზოთ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ. გვინდა, შეჭირვებულ ადამიანებს მომავლის იმედი გავუჩინოთ. ყოველთვიურად სხვადასხვა სოფლებში გავალთ და ადამიანებს დავეხმარებით. მიგვაჩნია, რომ ქველმოქმედება გადამდებია, ძალიან გვინდა, რომ ამ ინიციატივას სხვებიც შეუერთდნენ და კეთილი საქმე ვაკეთოთ," — აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

სპეციალისტები მოსახლეობას წითელას საწინააღმდეგო აცრების ჩატარებისკენ მოუწოდებენ

წელს საქართველოში წითელას 3 ათასი შემთხვევა დაფიქსირდა. რაც შეეხება ბოლო ორი წლის მონაცემებს, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, წითელას 11 ათასზე მეტი რეგისტრირებული შემთხვევა ფიქსირდება.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსის, ხათუნა ზახაშვილის ინფორმაციით, მონაცემები განგაშის საფუძველს იძლევა.

"მიმდინარე წელს წითელას 3 ათასზე მეტი შემთხვევაა დაფიქსირებული, რაც შეიძლება საგანგაშოდ მივიჩნიოთ. საქართველოს მასშტაბით ყველაზე მეტი შემთხვევა თბილისშია. რაც შეეხება ასაკობრივ მონაცემებს, შემთხვევები ძირითადად ზრდასრულ ადამიანებში ჭარბობს", - განაცხადა ხათუნა ზახაშვილმა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მოუწოდებს ყველას, ვისაც წითელას საწინააღმდეგო აცრა არ ჩაუტარებია, მიმართონ ექიმს და ჩაიტარონ აცრა. ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, აცრებს სახელმწიფო სრულად აფინანსებს.

კახეთის პოლიციის უფროსად გიორგი ბუბუნაური დაინიშნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსად 33 წლის გიორგი ბუბუნაური დაინიშნა. შსს-ს ინფორმაციით, ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე ბუბუნაური დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს უფროსად და თელავის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

გიორგი ბუბუნაური სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებლად, ამავე სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსის მოადგილედ.

კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე გიორგი ბუბუნაურმა ბესიკ ამირანაშვილი ჩაანაცვლა, რომელიც იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსად გადაიყვანეს.

ცხოველის ფეკალური მასებით გარემოს დაბინძურებისთვის მეპატრონე 50 ლარით დაჯარიმდება

ძაღლის ან რომელიმე შინაური ცხოველის მცირე ოდენობით ფეკალური მასებით ტერიტორიის დაბინძურების შემთხვევაში პატრონი 50 ლარით დაჯარიმდება. „ნარჩენების მართვის კოდექსში" შესატანი ცვლილებების მიხედვით, პასუხისმგებლობა ძაღლის ან შინაური ცხოველის მეპატრონეს იმ შემთხვევაში არ დაეკისრება, თუ იგი დაუყოვნებლივ მოასუფთავებს დაბინძურებულ ტერიტორიას.

150 ლარით დაჯარიმდება ის ადამიანი, რომლის ცხოველმა, ტერიტორიის 1 კუბური მეტრი ფეკალური მასით დაბინძურება მოახდინა. ჯარიმის დაწესება მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრულ ტერიტორიებზე გავრცელდება.

პროექტში ცალკე თავი ეთმობა სახიფათო ნარჩენების მართვას. ასევე ცალკე თავად არის გამოყოფილი ნაგავსაყრელების საკითხი. პროექტის მიხედვით, ნაგავსაყრელები შემდეგ კატეგორიებად დაიყოფა: სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელები, არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელები და ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელები.

კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ არსებული ნაგავსაყრელი მოქმედებას განაგრძობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვა ან თუ სამინისტრო შეათანხმებს ნაგავსაყრელის შესაბამისობაში მოყვანის გეგმას.

პროექტით, სამინისტრო ვალდებულია, შეიმუშაოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია, რომელმაც უნდა განსაზღვროს საქართველოში ნარჩენების მართვის ეროვნული პოლიტიკა და მიზნები.

ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც წელიწადში წარმოქმნიან 200 ტონაზე მეტ არასახიფათო ნარჩენს ან 5 ტონაზე მეტ სახიფათო ნარჩენს ან 1000 ტონაზე მეტ ინერტულ ნარჩენს, ვალდებულნი არიან, შეიმუშაონ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა.

გაიწვევენ თუ არა ქალებს ქართულ ჯარში?

საკონსტიტუციო სასამართლო იმსჯელებს, უნდა გაიწვიონ თუ არა ქალები ჯარში. როგორც გაირკვა, მოქალაქე გიორგი კეკენაძე სამხედრო სავალდებულო სამსახურში მხოლოდ მამაკაცების გაწვევას დისკრიმინაციად მიიჩნევს და აცხადებს, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული უფლებები სქესის ნიშნით დისკრიმინაციას კრძალავს.

მოსარჩელე მხარის მითითებით, ქალები, რომელთაც არ გააჩნიათ სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობა და ამავე კატეგორიის მამაკაცები წარმოადგენენ თანასწორ სუბიექტებს სამხედრო აღრიცხვისა და სამხედრო ვალდებულების მოხდის მიმართ. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, ეს პირები სადავო ნორმის ძალით გაუმართლებლად არათანასწორ მდგომარეობაში იმყოფებიან, რითაც ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით თითოეული ადამიანისათვის გარანტირებული თანასწორობის უფლება.

„მოსარჩელე მხარე სადავო ნორმის დისკრიმინაციულ ხასიათზე საუბრისას ასევე მიუთითებს დამატებით უარყოფით შედეგზე, კერძოდ, აღნიშნავს, რომ არის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, რომელსაც რამდენიმე თვეში ეწურება სამხედრო სამსახურის გადავადების ვადა და ექვემდებარება სამხედრო სამსახურში გაწვევას. შესაბამისად, განსხვავებით სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობის არმქონე ქალებისაგან, როგორც მოსარჩელე, ისე ზოგადად ამავე კატეგორიის მამაკაცები ერთი წლის განმავლობაში მოკლებულნი იქნებიან პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობას" — ნათქვამია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

დედოფლისწყაროს გამგეობამ და საკრებულომ კონკურსი გამოაცხადა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ და საკრებულომ 85 ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი გამოაცხადა. აქედან 81 ვაკანტური ადგილი გამგეობაშია, 4 – საკრებულოში. გამგეობის ინფორმაციით, კონკურსი სამ ეტაპს - საბუთების გადარჩევას, ტესტირებას და გასაუბრებას მოიცავს.

დაინტერესებულ პირებს განაცხადის წარდგენა საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებულ ვებ გვერდზე www.hr.gov.ge 18 დეკემბრამდე შეუძლიათ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციით, საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით გამოცხადდა, რომლის თანახმადაც საჯარო მოხელეებმა ტესტირება უნდა გაიარონ. საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსის ტესტები 60 კითხვით განისაზღვრა, რომელიც მოიცავს კონსტიტუციას, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს, საჯარო სამსახურის შესახებ კანონს, ევროპულ ქარტიას ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს და ზოგად უნარ-ჩვევებს. კონკურსანტებმა 51%-იანი ბარიერი (31 ქულა) უნდა გადალახონ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო ვაკანსიები

ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი კადრებისა და საქმისწარმოების საკითხებში

560 ლარი

- უზრუნველყოფს გამგეობაში ერთიან საქმისწარმოებას, აყალიბებს საქმეთა ნომენკლატურას - აღრიცხავს სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსულ წერილებს და შესასრულებლად გადასცემს შესაბამის სამსახურებს.
- აკონტროლებს მიღებული კორესპონდენციების დადგენილ ვადებში შესრულების საკითხს.
- პასუხისმგებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად გამგეობაში დაცული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, გასაცემად ამზადებს მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას.
- ასრულებს გამგებლის, სამსახურის უფროსისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა კერძო დავალებებს.

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

540 ლარი

- ორგანიზებას უკეთებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან,მოსახლეობასთან და მასმედიასთან გამგეობის ურთიერთობას.
- უზრუნველყოფს გამგეობის საქმიანობაზე ოფიციალური ინფორმაციის ოპერატიულ გავრცელებას სათანადო ორგანიზაციებში და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.
- საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზებას უკეთებს გამგეობის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა დასწრებას.
- აანალიზებს მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმიანობაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გასულ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში წარმოადგენს წინადადებას სათანადო რეაგირების შესახებ.
- ორგანიზებას უკეთებს გამგეობის პასუხისმგებელი მუშაკების შეხვედრებს მოსახლეობასთან.
- მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების თაობაზე, პერიოდულად სწავლობს საზოგადოებრივ აზრს, ამ მიზნით, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ატარებს შეხვედრებს, გამოკითხვებსა და სხვა ღონისძიებებს.
- საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებას უკეთებს მუნიციპალიტეტის გამგეობის კომპეტენციაში შემავალი ლოკალური პროგრამების საჯარო განხილვას.
- უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან თვითმმართველობის ვებ გვერდზე დასადები ინფორმაციების და ჟურნალ - გაზეთებში გამოსაქვეყნებელი პუბლიკაციების დროულად და ხარისხიანად მომზადებას.
- ასრულებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობისა და გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულებებით, გამგეობის შინაგანაწესით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფუნქციონალურ მოვალეობებს.

ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი

810 ლარი

- ხელმძღვანელობს განყოფილების საქმიანობას
- უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებთან ურთიერთობის კოორდინაციას
- გამგებლის წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამგებელს წარუდგენს წინანდადებებს ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაჭრის გზების შესახებ
- ასრულებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობისა და გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულებებით, გამგეობის შინაგანაწესით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფუნქციონალურ მოვალეობებს.

ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის საკითხებში

540 ლარი

- უზრუნველყოფს გამგებლის წარმომადგენლებთან, სამსახურის უფროსებთან გამგებლის სამუშაო თათბირების ჩატარების ორგანიზებას
- გამგებლის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში ოპერატიულად გადასცემს გამგებლის, განყოფილების უფროსის ან სხვა სამსახურებრივ დავალებებს, აცნობებს მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობისათვის გადასაცემ საჭირო ინფორმაციას.
- ორგანიზებას უკეთებს და ამუშავებს ადმინისტრაციული ერთეულებიდან მიღებულ ინფორმაციას.
- ასრულებს გამგებლის, სამსახურის უფროსისა და განყოფილების უფროსის სხვა კერძო დავალებებს.

ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში

30 შტატი 330 ლარი

- ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელს წარუდგენს წინადადებებს შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის გამოკითხვის და სახალხო განხილვების ჩატარებას;
- უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების, სამკვიდროს მიღებისას მემკვიდრის კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებულ მამკვიდრებლის საცხოვრებელ სახლში ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტის დადასტურებას
- ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას აწვდის ინფორმაციას სხადასხვა სოციალური საკითხებზე
- უზრუნველყოფს სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვებას
- ასრულებს გამგებლის, განყოფილების უფროსისა და გამგებლის წარმომადგენლის დავალებებს
- ახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამართლებრივი აქტებით და გამგეობის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მოქალაქეთა მომსახურების და საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი

810 ლარი

- ხელმძღვანელობს განყოფილების მუშაობას
- უზრუნველყოფს მოქალაქეთა მომსახურებას „ერთი სარკმლის” პრინციპით
- აკონტროლებს მოქალაქეებისათვის კონსულტაციებისა და განმარტებების მიცემას, მათგან განცხადებების მიღებასა და რეგისტრაციას, მიღებულ განცხადებებზე პასუხების დროულად, დადგენილ ვადებში მომზადებას და მოქალაქეებისათვის ჩაბარებას.
- ბიუჯეტის ფორმირებაში მონაწილეობის მსურველი მოქალაქეებიდან და ორგანიზაციებიდან წინადადებების მიღება
- ასრულებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობისა და გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულებებით, გამგეობის შინაგანაწესით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფუნქციონალურ მოვალეობებს.

მოქალაქეთა მომსახურების და საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში

560 ლარი

- ორგანიზებას უკეთებს საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან მუნიციპალიტეტის გამგეობის ურთიერთობას
- გამგეობის პასუხისმგებელი მუშაკების შეხვედრას საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან; საჭიროების შემთხვევაში გამგეობის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების დასწრებას
- ასრულებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობისა და გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულებებით, გამგეობის შინაგანაწესით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფუნქციონალურ მოვალეობებს.

მოქალაქეთა მომსახურების და საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, კულტურის, განათლების, სპორტის, ქალთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურებთან კოორდინაციის საკითხებში

560 ლარი

- მოქალაქეებისგან ღებულობს განცხადებებს სხვადასხვა სოციალურის დახმარების თაობაზე
- მოსახლეობას აწვდის ინფორმაციას სოციალური დახმარების მისაღებად საჭირო დოკუმენტების შესახებ
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე განცხადებების მიღება
- ასრულებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობისა და გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულებებით, გამგეობის შინაგანაწესით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფუნქციონალურ მოვალეობებს.

მოქალაქეთა მომსახურების და საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ზედამხედველობის სამსახურებთან კოორდინაციის საკითხებში

560 ლარი

- მოქალაქეებისგან ღებულობს განცხადებებს ზედამხედველობისა და მშენებლობის საკითხებთან დაკავშირებით
- მოქალაქეებს აძლევს კონსულტაციას ზედამხედველობისა და მშენებლობის საკითხებზე
- ასრულებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობისა და გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულებებით, გამგეობის შინაგანაწესით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფუნქციონალურ მოვალეობებს.

იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში

560 ლარი

- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, მათი სამართლებრივი ექსპერტიზა და ვიზირება, სამსახურში შემოსული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული გარიგებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმების და სხვა დოკუმენტების სამართლებრივი გამართულობა, მათი შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტებთან;
- გამგეობის სამსახურების საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მომზადება
- იცავს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინტერესებს საქართველოს საერთო სასამართლოებში
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

იურიდიული სამსახურის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში

540 ლარი

- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, მათი სამართლებრივი ექსპერტიზა და ვიზირება, სამსახურში შემოსული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული გარიგებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმების და სხვა დოკუმენტების სამართლებრივი გამართულობა, მათი შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტებთან;
- გამგეობის სამსახურების საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მომზადება
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში

560 ლარი

- ახდენს ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელებული ღონისძიებების და პროგრამების დაფინანსებას, აკონტროლებს ბიუჯეტის საკასო შესრულებას და მონაწილეობას იღებს ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადებაში
- ასრულებს გამგებლის, სამსახურის უფროსისა და სხვა კერძო დავალებებს

შესყიდვების განყოფილების უფროსი

810 ლარი

- წარმართავს შესყიდვების განყოფილების საქმიანობას, უნაწილებს ფუნქციებს განყოფილების მოხელეებს და ახდენს მათ სამსახურებრივ ზედამხედველობას
- გამგეობის შესაბამის სტრუქურტურულ ერთეულებთან და გამგებლის წარმომადგნლებთან კოორდინაციით მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმის შემუშავების უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოების უზრუნველყოფა, დადგენილი წესით მუნიციპალური შესყიდვების ორგანიზება, ელექტრონული ტენდერებისათვის საჭირო დოკუმენტაციის, ელექტრონული განაცხადის მომზადების და გამოქვეყნების უზრუნველყოფა; ელექტრონული შესყიდვების დადგენილი პროცედურის დაცვის უზრუნველყოფა, მუნიციპალური შესყიდვების თაობაზე სატენდერო კომისიისა და დადგენილი წესით გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში გამგებლისათვის შესაბამისი წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება, სატენდერო კომისიის ან გამგებლის გადაწყვეტილების შესაბამისად მუნიციპალური შესყიდვების თაობაზე სათანადო ადმინისტრაციული გარიგებისა და სხვა დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველყოფა
- ასრულებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობისა და გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულებებით, გამგეობის შინაგანაწესით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფუნქციონალურ მოვალეობებს.

შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი შესყიდვების საკითხებში

560 ლარი

- ერთიანი სისტემატიზირებური ფორმით ინფორმაციის შეგროვება დაგეგმილი და წარმოებული მუნიციპალური შესყიდვების, მუნიციპალური შესყიდვის არსებული და შესაძლო ობიექტის პოტენციური მომწოდებლებისა და მუნიციპალურ შესყიდვებში მონაწილე ორგანიზაციების, მათ მიერ საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების მოწოდებაზე გაკეთებული შემოთავაზებების, აგრეთვე მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე
- შესყიდვის ხელშეკრულების პროექტის მომზადება
- გაფორმებული ხელშეკრულებების, საფინანსო სამსახურის მიერ განხორციელებულ ჩარიცხული თანხების დოკუმენტაციის კომპიუტერული დამუშავება და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა და შესაბამისი სტატუსის მინიჭება ხელშეკრულებაზე.
- მუნიციპალური შესყიდვების კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადების უზრუნველყოფა
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი

810 ლარი

წარმართავს განყოფილების საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ განყოფილების მიერ დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე
- ანაწილებს ფუნქციებს განყოფილების საჯარო მოსამსახურეებს შორის
- განსაზღვრავს განყოფილების საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს
- შეიმუშავებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალურ პროგრამებს.
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ახდენს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსებისა და სამართლებრივი ურთიერთობის საზოგადოებისთვის მიწოდებას
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით და გამგებლის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში

560 ლარი

- კოორდინაციას უწევს საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებს მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გასატარებელი ღონისძიებათა შემუშავებას და მათ განხორციელებას;
- ხელს უწყობს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას
- ამუშავებს და ამზადებს პასუხებს შემოსულ განცხადებებზე სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის ხარჯითა და ყოველთვიური მოხმარებული ელექსტროენერგიის საფასურის დაფარვის უზრუნველყოფის საკითხებზე;
- ამზადებს სამართლებრივი აქტების პროექტებს სოციალურ სფეროსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ
- ასრულებს გამგებლის, სამსახურის უფროსის, განყოფილების უფროსისა და სხვა კერძო დავალებებს

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი შრომის, სოციალური, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებში

560 ლარი

- ამოწმებს დედოფლიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მინიმალური სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად წარდგენილი საბუთების სისწორეს
- ამუშავებს და ამზადებს პასუხებს სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის საკითხებზე შემოსულ წერილებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე;
- ორგანიზებას უწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული ოჯახებისათვის დახმარების გაწევას;
- უზრუნველყოფს ვეტერანთა სარიტუალო ხარჯების გაცემას;
- ამზადებს ყოველთვიურ ნაკრებ ანგარიშს მინიმალური სოციალური დახმარების პროგრამის რეალიზაციის თაობაზე
- ასრულებს გამგებლის, სამსახურის უფროსის, განყოფილების უფროსისა და სხვა კერძო დავალებებს

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი შრომის, სოციალური, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებში

540 ლარი

- კოორდინაციას უწევს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გასატარებელი ღონისძიებების შემუშავებას და მათ განხორციელებას
- ამუშავებს და ამზადებს პასუხებს უსახლკარო ოჯახებისათვის თავშესაფრით უზრუნველყოფის საკითხებზე შემოსულ განცხადებებზე
- შეაქვს მონაცემები კატეგორიების მიხედვით სოციალურად დაუცველი კონტიგენტის კომპიუტერული ბაზის ფორმირებისათვის;
- ამზადებს სამართლებრივი აქტების პროექტებს სოციალურ სფეროსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;
- უზრუნველყოფს უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯების დაფინანსებას
- ასრულებს გამგებლის, სამსახურის უფროსის, განყოფილების უფროსისა და სხვა კერძო დავალებებს

ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

560 ლარი

- მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ურბანული განვითარების დაგეგმვა
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მინათსარგებლობის დაგეგმვა, უფლებრივი ზონირება
- დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების შემუშავება
- დასახლებათა განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავება
- დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შემუშავება
- გეგმარებითი დავალებების მომზადება
- მშენებლობის ნებართვების გასაცემად საჭირო პირობების, საპროექტო და სხვა დოკუმენტაციების კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნების შემუშავება
- მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის შექმნა და განვითარება
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი გზებისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში

560 ლარი

- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება, წინადადებების მომზადება მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის შექმნის, რეაბილიტაციისა და განვითარების თაობაზე
- წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა
- წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება მუნიციპალიტეტის დასახლებების დასუფთავების, ნარჩენების გატანისა და უტილიზაციის საკითხებზე
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის სამუშაოთა ორგანიზება
- სასაფლაოების მოვლა-პატრონობისთვის შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზება
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში

2 შტატი 540 ლარი

- მუნიციპალიტეტის დაკვეთით განხორციელებული ობიექტების დაპროექტება და მშენებლობის კოორდინაცია
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობა
- მუნიციპალიტეტის მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებში პარტნიორის, აქციონერის უფლება-მოვალეობათა განხორციელება
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის - ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების, გარე განათების, სანიაღვრე მეურნეობის, მუნიციპალიტეტის გამგებლობაში არსებული კომუნიკაციების შექმნის, რეაბილიტაციისა და განვითარების დაგეგმვა, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადება, მათი განხორციელების კოორდინაცია
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების შენახვა და მოვლა-პატრონობა
- მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების კეთილმოწყობის დაგეგმვა, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადება, მათი განხორციელების კოორდინაცია
- წინადადებების შემუშავება ვაჭრობისა და გარე რეკლამის რეგულირების საკითხებზე
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი

810 ლარი

- ხელმძღვანელობს განყოფილების საქმიანობას
- მუნიციპალური ქონების შეძენის, ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების კოორდინირება
- თვითმმართველი ერთეულის გასასხვისებელი ქონების ნუსხის პროექტის შედგენა, თვითმმართველი ერთეულის ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ორგანიზება
- ქონების გადასახადის და მოსაკრებლების განაკვეთების დადგენაზე წინადადებების შემუშავება, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გადაცემული თვითმმართველი ერთეულის ქონების გამოყენებისა და ამ ქონებით სარგებლობის წესებისა და პირობების დაცვაზე კონტროლის განხორციელება
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით და გამგებლის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება

ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში

560 ლარი

- თვითმმართველი ერთეულის მიწის რესურსების მართვის ორგანიზება,
- თვითმმართველი ერთეულის ქონების გასხვისებისათვის წინადადებებისა და საჭირო დოკუმენტაციის მომზადება
- ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამის მომზადების ორგანიზება, პროგრამის განსახორციელებლად დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება
- ეკონომიკური განვითარების დასაგეგმად საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება
- ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ საჭირო ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება
- წინადადებების და საჭირო დოკუმენტაციის მომზადება მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საწარმოების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხებზე
- წინადადებების მომზადება მუნიციპალური პროექტების განხორციელების მიზნით კერძო ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით
- საჭირო დოკუმენტაციის მომზადება მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საინვესტიციო პროექტების შესადგენად
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო ინვესტიციების ხელშეწყობისათვის წინადადებების მომზადება
- მუნიციპალური პროექტების კერძო ინვესტორებთან, მუნიციპალური განვითარების ფონდთან და დონორ ორგანიზაციებთან

ურთიერთობების წარმართვა
- მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საინვესტიციო პროექტების განხორციელების ზედამხედველობა
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში

2 შტატი 540 ლარი

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადასახადის ზედამხედველობა
და შესაბამისი სტრუქტურული სამსახურებისათვის ინფორმაციის მიწოდება
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღრიცხვა და რეგისტრაცია;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქციების, ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა;
- რეკომენდაციების შემუშავება მუნიციპალური ქონების კატეგორიების განსაზღვრასა და შეცვლასთან დაკავშირებით;
- საჭირო დოკუმენტაციის მომზადება სახელმწიფო საკუთრების ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით;
- რეკომენდაციების შემუშავება მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვის საკითხებზე;
- რეკომენდაციების შემუშავება მუნიციპალური ქონებით სარგებლობის წესებთან დაკავშირებით;
- რეკომენდაციების შემუშავება მუნიციპალური ქონების პრივატიზებასა და სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით;
- მუნიციპალური ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ორგანიზება;
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ეკონომიკურ საკითხებში

540 ლარი

- უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიური განვითარების სტრატეგიების, პროექტის მომზადებას, მათი განხორციელების მონიტორინგს
- ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისათვის სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება
- ამზადებს მომავალი წლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტს და ახორციელებს ამ პროექტთან დაკავშირებულ საორგანიზაციო სამუშაოებს
- ახდენს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების
პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან შესაბამისობის შეფასებას
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული
ფუნქციების განხორციელება.

ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი არქმშენინსპექციის საკითხებში

560 ლარი

- ახორციელებს ზედამხედველობას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე შენობა-ნაგებობების, წარმოებული სამშენებლო კონსტრუქციების საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის შესაბამისობაზე.
- ტექნიკური და სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების კანონის დარღვევით მშენებარე ობიექტის მშენებლობის შეჩერება ან დემონტაჟი, მათ მიმართ კანონით განსაზღვრული საჯარიმო სანქციების გამოყენება
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, მიწის გამოყენებისა და მიწათსარგებლობის წესების დაცვის საკითხებში

560 ლარი

- ახორციელებს ზედამხედველობას ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე, მიწის გამოყენებასა
და მიწათსარგებლობის წესების დაცვაზე
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიწის ნაკვეთების უნებართვოდ დაკავების, მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობის, მიწის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ობიექტების მშენებლობის ფაქტების გამოვლენა
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი სანიტარული ზედამხედველობის საკითხებში

560 ლარი

- ახორციელებს ზედამხედველობას მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო
გარემოს უზრუნველყოფაზე.
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი არქმშენინსპექციის, ადგილობრივი გადასახადებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების საკითხებში

540 ლარი

- ახორციელებს ზედამხედველობას ადგილობრივი გადასახადებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირებაზე, მუნიციპალიტეტის იერსახეზე, გარე რეკლამის განთავსებაზე, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესების დაცვაზე, გარე ვაჭრობაზე.
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი კულტურისა და სპორტის საკითხებში

560 ლარი

- კოორდინაციას უწევს კულტურისა და სპორტის საკითხებზე მუნიციპალური პროგრამების მომზადება - განხორციელებას, მასობრივ-კულტურული და სპორტულ - გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებას
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი განათლების საკითხებში

560 ლარი

- კოორდინაციას უწევს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის საქმიანობას
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

2 შტატი 540 ლარი

- ახორციელებს შიდა აუდიტორულ შემოწმებას (ფინანსური, სისტემური და სხვა), კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებაზე, გამოავლენს დისციპლინარულ გადაცდომათა ფაქტებს;
- უზრუნველყოფს მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, სამართლებრივი, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოფხვრას და პრევენციას
- უზრუნველყოფს შემოწმების ჩატარებას გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებით, მოქალაქეთა უფლების, თავისუფლებისა და კანონიერი ინტერესების შელახვის, დისციპინური გადაცდომისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტებზე
- უზრუნველყოფს გამგეობის სრუქტურულ ორგანოებში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივ კონტროლს, მოსამსახურეთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებისა და კანონიერი ინტერესების, სამსახურებრივ გადაცდომათა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენას, ამ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლას
- უზრუნველყოფს გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენას, მათ მიერ სამსახურებრივი ეთიკის წესების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებას;
- უზრუნველყოფს გამგეობის საქმიანობის საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფას, საზოგადოებრივი კონტროლის მექნიზმების ჩამოყალიბების ხელშეწყობას და მხარდაჭერას კანონიერების დაცვის სფეროში;
- უზრუნველყოფს სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე გამგეობის შესაბამისი ერთეულების მხრიდან განხორციელებული რეაგირების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას;
- კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ჩატარებული შემოწმების შედეგად დასკვნის მომზადებას და სამსახურის უფროსისათვის წარდგენას
- უზრუნველყოფს შიდა აუდიტის ობიექტში დისციპლინის დაცვის მდგომარეობის კონტროლს და უფლება-მოვალეობის შესრულების ანალიზს.
- უზრუნველყოფს სამსახურებრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით სამსახურის უფროსის დავალებების შესრულებას.

- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

2 შტატი 540 ლარი

- უზრუნველყოფს წვევამდელი ასაკის მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვას და მათ გამოცხადებას გამწვევ კომისიაზე, აწარმოებს გასაწვევი რესურსის შესწავლას, ადგენს წვევამდელთა შესახებ დოკუმენტაციას,
- უზრუნველყოფს წვევამდელთა გადაყვანას გამწვევ-გამანაწილებელ პუნქტში
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

540 ლარი

- უზრუნველყოფს სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ტექნიკურ მომსახურებას
- პირველადი სამხედრო აღრიცხვის საქმისწარმოებას, აწარმოებს შესაბამის ცხრილებს წვევამდელთა შესახებ
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი ქალაქ დედოფლისწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში

980 ლარი

- გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- გამგებლის დავალებით ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;
- დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს;
- გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;
- გამგებლის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი სოფელ ზემო მაჩხაანის ადმინისტრაციულ ერთეულში

980 ლარი

- გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- გამგებლის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;
- უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;
- გამგებლის დავალებით ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;
- დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს;
- გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;
- გამგებლის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი სოფელ მირზაანის ადმინისტრაციულ ერთეულში

880 ლარი

- გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- გამგებლის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;
- უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;
- გამგებლის დავალებით ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;
- დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს;

- გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;
- გამგებლის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ არბოშიკის ადმინისტრაციულ ერთეულში

980 ლარი

- გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- გამგებლის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;
- უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;
- გამგებლის დავალებით ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;
- დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს;
- გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;
- გამგებლის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ოზაანის ადმინისტრაციულ ერთეულში

980 ლარი

- გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- გამგებლის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;
- უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;
- გამგებლის დავალებით ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;
- დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს;
- გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;
- გამგებლის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ნარმარჯვეგის ადმინისტრაციულ ერთეულში

980 ლარი

- გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- გამგებლის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;
- უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;
- გამგებლის დავალებით ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;
- დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს;
- გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;
- გამგებლის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ხორნაბუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში

980 ლარი

- გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- გამგებლის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;
- უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;
- გამგებლის დავალებით ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;
- დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს;
- გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;
- გამგებლის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ სამრეკლოს ადმინისტრაციულ ერთეულში

980 ლარი

- გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- გამგებლის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;
- უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;
- გამგებლის დავალებით ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;
- დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს;
- გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;
- გამგებლის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ზემო ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში

980 ლარი

- გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- გამგებლის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;
- უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;
- გამგებლის დავალებით ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;
- დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს;
- გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;
- გამგებლის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ქვემო ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში

980 ლარი

- გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- გამგებლის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;
- უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;
- გამგებლის დავალებით ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;
- დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს;
- გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;
- გამგებლის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ სამთაწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში

980 ლარი

- გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- გამგებლის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;
- უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;
- გამგებლის დავალებით ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;
- დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს;
- გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;
- გამგებლის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ არხილოსკალოს ადმინისტრაციულ ერთეულში

980 ლარი

- გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- გამგებლის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;
- უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;
- გამგებლის დავალებით ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;
- დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს;
- გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;
- გამგებლის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ფიროსმანის ადმინისტრაციულ ერთეულში

880 ლარი

- გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- გამგებლის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;
- უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;
- გამგებლის დავალებით ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;
- დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს;
- გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;
- გამგებლის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ საგათლოს ადმინისტრაციულ ერთეულში

880 ლარი

- გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- გამგებლის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;
- უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;
- გამგებლის დავალებით ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;
- დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს;
- გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;
- გამგებლის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

* * *

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი

810 ლარი

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტი – 3 ვაკანსია.

540 ლარი

„წარსული მკვიდრი საძირკველია მომავალისა“...

ხორნაბუჯში ამაგდარ ადამიანებს კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი და ლამაზი ღონისძიება მიუძღვნეს მათ. ღონისძიების ორგანიზატორებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს სოფლის ისტორია, მისი წარსული და ის ადამიანები, რომელთაც თავისი შეგნებული ცხოვრება დედოფლისწყაროსა და ხორნაბუჯის განვითარებას მიუძღვნეს. სოფლის დაარსების ისტორია მიმოიხილა მარინა ზურაშვილმა. ამ დროისთვის სოფელში 950 კომლი ცხოვრობს- 3100 მაცხოვრებელი და 18 ეროვნება. ხორნაბუჯის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა ბუნების ძეგლი არწივის ხეობა, რომელიც დაცული ტერიტორიების საკუთრებაა. სოფელში ფუნქციონირებს საჯარო სკოლა, საბავშვო ბაღი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, რომელიც 50-იან წლებში დაარსდა, თუმცა 70-იან წლებში ცენტრალურ ბიბლიოთეკას შეუერთდა. ღონისძიებაზე წარადგინეს ქალბატონები-ვენერა კიკილაშვილი, რომელმაც ბიბლიოთეკას 35 წელი შესწირა და მაია ჯანიაშვილი, რომელმაც 13 წელი იმუშავა ხორნაბუჯის ბიბლიოთეკაში. მათ შეაყვარეს ახალგაზრდობას წიგნი და იზრუნეს მათ ინტელექტუალურ განვითარებაზე. ამ ქალბატონებმა ყველაფერი გააკეთეს წიგნადი ფონდის გადასარჩენად. გაიხსენეს ივანე ჭუაძე, რომლის სახელსაც უამრავი გამოგონება უკავშირდებოდა საბჭოთა კავშირის დროს. ამაგდარის წოდება მიენიჭა ვაჟა ანდრიაშვილს, რომლის სახელსაც სპორტულ კარიერასთან ერთად უკავშირდება სამშენებლო საქმიანობაც-მან ააშენა სამთაწყაროს სკოლა, ზემო ქედის კულტურის სახლი.

ქეთევან მჭედლიშვილმა მიმოიხილა მუზეუმის ისტორია, რომელსაც მართლაც მდიდარი წარსული აქვს. „ისტორია იგივე დიდებული ტაძარია, სადაც ერი მოიხსენიებს თავის გამოჩენილ ადამიანებს და მოგვითხრობსმათ დიდ საქმეებს. თუ ისტორია დავივიწყეთ, მაშინ დაგვივიწყებია ჩვენი ცხოვრების ფესვებიც, ჩვენი ცხოვრების საძირკველი და რაზე უნდა ავაშენოთ მომავალი?!“ - ასე ახსნა მუზეუმის დირექტორმა ამ საღამოს ძირითადი არსიც და მიზანიც.

სოფელში ფუნქციონირებდა კულტურის სახლი, სადაც ბავშვები სწავლობდნენ ცეკვას, მუსიკას. კულტურის სახლში მოღვაწეობდა ასმათ გონაშვილი, ქალბატონი, რომელმაც 27 წელი შეალია მომავალი თაობის კულტურულ აღზრდას.

მუზეუმის თანამშრომელმა თამარ ლობჯანიძემ ისაუბრა გერმანიაში მოღვაწე პოეტსა და ჟურნალისტზე ირმა შიოლაშვილზე, რომელიც უცხო ქვეყანას ქართულ კულტურას აცნობს და აყვარებს.

და ბოლოს, ყველამ დიდი სიამაყით აღნიშნა, რომ ხორნაბუჯში დაიბადა და გაიზარდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

ღონისძიებაზე აქტიური მონაწილეობა მიიღეს ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა,ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელებმა და კულტურის მუშაკებმა.

სოფელ ხორნაბუჯის სკოლა უძველესია კახეთის რეგიონში. ის 1903 წელს დაარსდა. სკოლა დღემდე ამაყობს იმ პედაგოგებით,რომლებიც წლების განმავლობაში ღირსეულად ემსახურებოდნენ სოფელს და მის მომავალს. დღესაც ჰყავს სკოლას წარმატებული პედაგოგები, მათ შორის გამორჩეული რუსუდან გონაშვილია.

შემოქმედებით საღამოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ხორნაბუჯის ტერიტორიულ ერთეულში მერაბ მაძღარაშვილი და კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი ნონა ჯიბღაშვილი ესწრებოდნენ. საკრებულოს თავმჯდომარემ ამაგდართა პატივის მისაგებად შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა:- „მადლობას გიხდით იმ დიდი ღვაწლისათვის,რომელიც მომავალი თაობების ღირსეულად აღზრდისათვის გასწიეთ. თითოეულ ასეთ ღონისძიებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ უფროსი თაობისთვის,არამედ ახალგაზრდებისთვისაც,რადგან ისინი ხედავენ,თუ როგორ ფასდება ადამიანების შრომა და ეს დიდი სტიმულია მათთვის“–განაცხადა ზვიად ჯავახიშვილმა.

შეხვედრის დასასრულს ღვაწლმოსილი ადამიანები სიგელებით დააჯილდოვეს.

ღონისძიება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის მიერ ინიცირებული პროექტის - „ამაგდარის“ ფარგლებში გაიმართა,რომელიც თითქმის ყველა სოფელში უკვე ჩატარდა.

მონატრება

ზაურ სულაშვილი

ერთი წელი გავიდა უშენოდ. დაუნდობელმა სიკვდილმა დიდი სიხარული, რომელიც მომავალში გველოდა, ტკივილით შეგვიცვალა. არაფერი ყოფილა ამ წუთისოფელში სიკვდილზე საშინელი და მონატრებაზე ძნელი. დრო მიქრის, მაგრამ შენი წასვლით გამოწვეულ სევდასა და ტკივილს ვერაფერი შეცვლის. წუთიც არ გავა, რომ არ გაგიხსენოთ. ყველა გიხსენებს, როგორც მხიარულ, იუმორის ნიჭით დაჯილდოვებულ კარგ ადამიანს. შენთან საუბარი ყველას კარგ განწყობაზე აყენებდა.

შენ ხომ მშრომელი, ერთი კარგი ქართული ოჯახის ერთგული, კარგი შვილების აღმზრდელი, საუკეთესო მამა და კარგი მეუღლე იყავი.

შენს დატოვებულ ოჯახს შენი ვაჟკაცები, შენი შვილები-ზვიადი და რევაზი ღირსეულად უძღვებიან.

როგორ ოცნებობდი შენი შვილების დაქორწინებას მოსწრებოდი, მაგრამ მუხთალმა სიკვდილმა დაგასწრო და ვერ მოესწარი ყოველივე ამას.

გაუსაძლისია უშნობა შენი მეუღლისთვის, შენი შვილებისთვის, ახლობლებისა და მეგობრებისთვის.

რამდენი სითბო და შიყვარული დაგითესია. დღესაც ცხარე ცრემლით და სინანულით გიხსენებთ. გწამდეს, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. მსუბუქი იყოს შენთვის შენი მშობლიური გამარჯვების მიწა.

ჩვენ კი, უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და დაამკვიდროს მარადიულ სასუფეველში.

მეუღლე და შვილები

რუსუდან ჯორკოშვილი

საყვარელო დეიდავ, 40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც დაგვტოვე, დაგვიტოვე დარდი და მოუშუშებელი ტკივილი. ძნელია უშენობა. ვერ ვეგუებით იმ აზრს, რომ ჩვენს გვერდით აღარ ხარ.

მართალია, შენი საკუთარი ოჯახი არ გყავდა მაგრამ შენით ვხარობდით დისშვილები, დისშვილიშვილები და შვილთაშვილები. ყველს მოგვაკლდა შენი სითბო, სიყვარული და მზრუნველობა.

შენ ხომ დაუზარელი, დაუღლელი და მზრუნველი აფთიაქარი იყავი სოფელ ოზაანში. შენი სითბო და ამაგი ახლაც ახსოვს მთელ სოფელს.

დეიდავ, გწამდეს, რომ შენს სახელს არასოდეს დავივიწყებთ და მუდამ იქნები ჩვენს გულებში.

მსუბუქი იყოს მშობლიური მიწა შენთვის და ყოველი დანთებული სანთელი მანათობელი იყოს სასუფეველში.

აკაკი და გელა ნატროშვილები, ლუბა მჭედლიშვილი, ზურა და ქეთინო ზაქაიძეები, უჩა და შორენა ლლონტები.

ალფეზი მოსეშვილი

ჩვენი ოჯახის დიდო ტკივილო და მწუხარებავ, 2010 წლის 10 დეკემბერს უფალმა მის სასუფეველში გიხმო. წახვედი და დაგვიტოვე ცრემლი და ჩვენი თანაცხოვრების საუკეთესო მოგონებები. ძნელი გასაძლებია ძვირფასი ადამიანის წასვლით გამოწვეული ტკივილი, სევდა და უსაზღვრო მონატრება. ვებრძვით ამ ტკივილსა და მონატრებას და თავს ვიიმედებთ, რადგან ვიცით, რომ „წასვლა , ისევე როგორც დაბადება, უფლის ნებაა.“

იყავი ოჯახის უსაზღვროდ მოყვარული, თავდაუზოგავად შრომობდი ჩვენი კეთილდღეობისთვის. გვაკლია შენი მზრუნველი ხელი ჩვენო კეთილო და მიმტევებელო. გულში წყენას არ იტოვებდი, ყოველთვის შეგეძლო პატიება.

ყოველდღე ვანთებთ სანთელს, რადგან გვჯერა, რომ ამით გზას გინათებთ სასუფევლისკენ მიმავალს.

შევთხოვთ უფალს, გაპატიოს მიწიერი შეცოდებანი და ნთელი დაგიმკვიდროს. სანთელს არ ჩაგიქრობთ, მშვიდად განისვენე იქ, სადაც არც ჭირია და არც მწუხარება. გფარავდეს ნათელი უფლისა.

შენი მეუღლე და შვილები.

დედა მაყვალა; მეუღლე ეთერ გონაშვილი; შვილი ქეთევანი; შვილიშვილი მათე თეგაძე; ძმა გელა; რძალი ელზა ხარაშვილი; ძმისშვილები: სალომე, გიორგი, ნიკოლოზი; სიდედრი ლენა პოპიაშვილი იუწყებიან

ნუგზარ გველუკაშვილის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა 14 დეკემბერს, 1 საათზე, ქალაქ დედოფლისწყაროში.

ქ. დედოფლისწყაროს №1 საშუალო სკოლის 1972-73 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან

თენგიზ ზურაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

შპს გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ელზა ხარაშვილის და გელა გველუკაშვილის ოჯახს

ნუგზარ გველუკაშვილის

გარდაცვალების გამო.

ქ. დედოფლისწყაროს №1 საშუალო სკოლის 1982-83 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმღვანელები ნანული ნატროშვილი და მზია ტარყაშვილი იუწყებიან

ილია სუხიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გოგი, ლამარა, თამაზი, მირიანი, დათო პოპიაშვილები, აკაკი, ვაჟა, ლაშა ოზაშვლები ოჯახებით იუწყებიან

ნუგზარ გველუკაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

დები: ფატი, ლუიზა ზურაშვილები; დისშვილები: თამაზი, ზურაბი, ნელი ქენქაძეები, დისშვილიშვილი ვასიკო ჯაგოდნიშვილი, სიძე ნოდარ (ცუცნა) ტუსაშვილი, რძლები; ნინო ვარდიაშვილი, ეთერ სიფრაშვილი, ანა გულაშვილი ოჯახებით იუწყებიან

თენგიზ ზურაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 6 დეკემბერს ქ. ვორონეჟში.

ხელი-ხელთ საგოგმანები

ფოლკლორი ის მტკიცე დულაბ-საძირკველია, რომელზეც აღმოცენდება კლასიკა, დედის რძესავით მარგებელი საზრდოა ჯანსაღი სულის ჩამოსაყალიბებლად, საფუძველია ერის სიამაყისა, რადგან მასში სწორედ ხალხის ზნე-ჩვეულება, მისწრაფება, სიბრძნე და გულისნადები იკითხება, რომელიც მომავალი თაობებისთვის გზამკვლევის როლს ასრულებს. ამიტომ, საჭიროა, მზრუნველობა არ მოვაკლოთ იმ საგანძურს, რომელსაც ხალხის წიაღიდან აღმოცენებული თვითნაბადი შემოქმედება ჰქვია. ამჯერად საქართველოს მოსნავლე - ახალგაზრდობის სასახლის მიერ ჩატარებული ახალგაზრდა ფოლკლორისტთა მე-17 რესპუბლიკური შეკრების მონაწილე ბავშვებზე მოგითხრობთ, რომლებმაც საპატიო სიგელები დაიმსახურეს სწორედ ფოლკლორის დარგში. ისინი დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან არსებული ახალგაზრდა ფოლკლორისტთა კლუბის წევრები არიან. მათი ხელმძღვანელი მუზეუმის დირექტორი ლალი გურასპაული გახლავთ. ქალბატონი ლალი სპეციალობით პედაგოგია, იგი წლების განმავლობაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა და არ არის გასაკვირი, რომ მუზეუმში მისვლისთანავე ფოლკლორისტთა კლუბი დააარსა. მათ ბევრი ფოლკლორული ნიმუში შეისწავლეს და გააანალიზეს. ამ ეტაპზე მათი კვლევის საგანი ერთი უნიჭიერესი სახალხო მთქმელის **უშანგი (ბორის) ნასყიდას ძე სამუკაშვილის** შემოქმედება გახდა. უშანგი სამუკაშვილი ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში დაიბადა 1931 წლის 20 მარტს მოსამსახურის ოჯახში. დაწყებითი განათლება (მეექვსე კლასამდე) სოფლის სკოლაში მიიღო, მერე ორჯონიკიძეში საშუალო სკოლა დაამთავრა და სწავლა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო (რკინიგზის) ფაკულტეტზე გააგრძელა. დიპლომის დაცვის დროს კომისიის თავმჯდომარეს უთქვამს: – „14 წელია, კომისიის თავმჯდომარე ვარ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნებში და ჯერ ასეთი ბრწყინვალედ დაცული დიპლომი არ მახსოვსო“. ბატონი უშანგი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული, ერთი მართალი და პატიოსანი მამულიშვილი გახლდათ. კარგი სპეციალისტის გარდა ის კარგი მოლექსე და ღრმად მოაზროვნე პიროვნება იყო, რაც მისი ნაწერებიდან კარგად იკითხება. ასეულობით ლექსი, რომელიც მისი ხელით ფაქიზად არის აკინძული სამ დიდ ალბომში, გადმოგვცემს მისი ცხოვრების ეპოზოდებს, გამსჭვალულია სამშობლოს სიყვარულით, ქალ-ვაჟის ტრფიალით, მთის ხალხის ყოველდღიური ცხოვრების ადათ-წესებით, კილო და კავიც მთისა აქვს – მოხეური სილაღით და სიდარბაისლით ნათქვამი თითოეული ფრაზა მუსიკასავით სასმენია და სიამოვნებით იკითხება.

უშანგი სამუკაშვილი ჩვენი რაიონის ერთ-ერთი თვალსაჩინო პოეტის გიული სამუკაშვილის ძმა და, შესაბამისად, პოეტ ზაურ გონაშვილის ცოლისძმა იყო. მისი ცხოვრების სირთულეებზე სწორედ ისინი გვიამბობენ: – „ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაოჯახდა. ცოლად სკოლისდროინდელი შეყვარებული, ირემაძეების გოგო მოიყვანა. ერთი ვაჟი შეეძინათ –ნუგზარი, რომელიც ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მას დარჩა ვაჟი ბექა სამუკაშვილი. ამ ამბავმა უშანგის ძალიან დიდი დაღი დაასვა. თავის თავში ჩაიკეტა და მთლიანად შემოქმედებითი საქმით იყო დაკავებული.“

მარიამ სამუკაშვილი და ანი დავითაშვილი

მისი ჩანაწერები, მოგონებები, ლექსები, კაფიები, გადმოცემები სწორედ მისი დის, გიულის ოჯახში ინახება. უშანგი 2014 წლის აგვისტოში, ღრმად მოხუცი, 93 წლის ასაკში გარდაიცვალა და, ჩვენდა საბედნიეროდ, მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან არსებულმა ფოლკლორულმა კლუბმა ეს ხელნაწერები მის სიკვდილამდე ორი თვით ადრე აღმოაჩინა, დაინტერესდა, ჩაიწერა და დაამუშავა მასალები, როემლიც შემდეგ საქართველოს მოსნავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ფოლკლორისტთა მე-17 რესპუბლიკურ შეკრებაზე გააგზავნა. კლუბის წევრებმა ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მოსნავლეებმა: მარიამ სამუკაშვილმა, ანი დავითაშვილმა, გიორგი ხუნაშვილმა, რუსთავის №7 საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლე სალომე ზურაშვილმა და მათმა ხელმძღვანელმა ლალი გურასპაულმა საპატიო სიგელები დაიმსახურეს.

მეტად საინტერესო თემა აირჩია მარიამ სამუკაშვილმა. მან ბატონი უშანგის მიერ მოძიებული ისტორიების მიხედვით გააცოცხლა სამუკაშვილების და მისი მონათესავე გვარების წარმომავლობა, რომლებიც თავად ლუდუშაურები ყოფილან.

– „ლუდუშაურები თავიანთ გვარს თითქმის მე-17 საუკუნემდე უცვლელად ინარჩუნებდნენ. გვარის დაყოფა მოხდა მე-18 საუკუნის დასაწყისში. ერთ-ერთი მამისშვილობიდან, რომელსაც მეუღლედ ბაგრატიონთა ქალიშვილი ჰყავდა, სამი ვაჟი შეეძინა: პაპი, შიოლა და ირემა. ირემა მებრძოლი კაცი იყო და ადრე გარდაიცვალა. მისი შვილი ისმელა ბიძამ, შიოლამ გაზარდა და დააქორწინა. ლუდუშაურების გვარის დაყოფა კი ასეთი სახით მოხდა: პაპის შთამომავლობა– თვითონ პაპენი (პაპიაშვილები), ჯანიყენი (ჯანუყაშვილები), ბულენი (ბულაშვილები) ყარაჯენი (ლუდუშაურები). შიოლას შთამომავლები – შიოლენი, ჯაყიენი, გოტოლენი, გოროლენი, ბაშიენი, ბიძიენი. ისინი ყველა შიოლაშვილებზე იწერებიან. ირემას შთამომავლები– ისმელენი, ლომნიენი–ქომაიმანნი (ლუდუშაურები), სამუკენი-მოღმიანნი (სამუკაშვილები), ჯაბანენი-დიდჯალაბნიანნი (ლუდუშაურები), თათეულენი-დიაკვნიანნი (ლუდუშაურები), ვარძუკენი -დიდეზოანნი (ვარძუკაშვილები, ლუდუშაურები) თათარენი (იგივე თავარენი)- ხევსურიანნი (ფირანიშვილები, ლუდუშაურები). მათი პირველი განაყრების გლოლას და შაბურის შთამომავლები იყვნენ მთიანი რაჭისა და არაგვის ერისთავები თითქმის მე-15 საუკუნის ჩათვლით. შაბურიშვილებმა-შაბურისძეებმა დღესაც იციან, რომ ლუდუშაურებიდან არიან წასული. მათი სამყოფელი იყო ბაზალეთის ტბასთან დასახლება „საშაბაურო“, რომელსაც დღესაც იგივე სახელი ჰქვია. საქართველოს 67-ე დედოფალი იყო შაბაურიძეების ქალი-დიმიტრი თავდადებულის შვილის -ვახტანგის მეუღლე. გლოლაში დღესაც იციან სნოდან გაყოლილი დღესასწაული „ათენგენობა“ და ხატობაზე მისატანი ნამცხვარი „განატეხები“, ვკითხულობთ საინტერესო ისტორიას მარიამ სამუკაშვილის ნაშრომში. მასვე აქვს ეთნოგრაფიული შინაარსის გადმოცემა „ირჯეულთ ღორღის“ წარმოშობის შესახებ და სახალისო ისტორიები გლეხ ხაზარა ფირანიშვილის ცხოვრებიდან. მარიამის ნაშრომმა მაღალი შეფასება დაიმსახურა და, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

საინტერესო შრომები წარადგინეს ანი დავითაშვილმა და გიორგი ხუნაშვილმა. მათ მიმოიხილეს უშანგი სამუკაშვილის შემოქმედება, დაამუშავეს მისი ლექსები, კაფიები და, ასევე, სიგელები დაიმსახურეს. გთავაზობთ მათ მიერ შერჩეული უშანგი სამუკაშვილის რამოდენიმე ლექსს.

P.S. როგორც ლალი გურასპაულმა განაცხადა, ჩვენი რაიონის მწერალთა ასოციაციის მეგობარმა, გულშემტკივარმა და სპონსორმა, გამომცემლობა „პირველის“ დირექტორმა ზაზა გამგებელმა უშანგი სამუკაშვილის 100 საუკეთესო ლექსის დასტამბვა და წიგნად გამოშვება იკისრა. მან არაერთ ჩვნს თანამემამულეს გაუწია დახმარება წიგნის გამოცემის თაობაზე, რისთვისაც დიდ მადლობას იმსახურებს.

ნაირა გორაშვილი

„ზზა სიარულმა დალია,
სიბი ქვა წყლისა დენამა“,
ეს ჩემი გული ტიალი,
ჩემივ მამულის ცქერამა.
ო, რარიგ მიყვარს სამშობლო,
მის ტრფობა გულზე მენამა,
მოზღვაჟებული ფიქრები
ვეღარ აძოთქვა ენამა.
გაგვიბეჩავა მშობელი
უღირსთა შვილთა ლხენამა,
ქართველთა ურთიერთმორის
ქიშპობამა და რქენამა.
ვეღარ დაგვიცხრო გრძნობები,
მოყვასზე მუშტის ღერამა,
ზა ვერ დაუთმო სიყვარულს
გულში ნადებმა წყენამა.
საერთო საქმეს ვერ არგო,
მის გარე-გარე რბენამა,
მასთან მტრად გადაიდებამ,
უმიზნოდ აღმა ფრენამა.

* * *

კარგი ვაჟკაცის წესია,
არ მომქცევა ფლიდადა,
თუ გნახა გაჭირვებული,
წყალს გაგედება ხიდადა.
ძუა გაგიეოფს საგზალსა,
გხას გაუდგება მშვიდადა,
არ გახდის თავის ნამუსსა,
ბაზარზე გასაყიდადა.

* * *

უშანგი მქვიან სახელად,
ვღუდუშაურობ გვარადა,
ამ წუთისოფლის ალილო,
არ მიღირს ზზედ და ჩალადა.
ყველა მოკვდავთა შვილნი ვართ,
აქ ვინ დაგვტოვებს ძალადა?
დასაბამიდან, ბოლომდის
კაცთ ეს დაგვედო ვალადა.
მანამ კი, სანამ მზესა ვსჭვრეტ,
არ გადგიქცევი ქალადა,
კლდედ ვდგაჯარ, გაუტეხლადა,
მამულს ვეფარვი ფარადა.

* * *

რად გიკვირს, სამუკეთ წვრილავ,
კაცთა ცხოვრების წესია: –
ყველა ხელს იმ ხილს მიაწვდის,
რომელიც უკეთესია.

* * *

მე რაღა დამაბერებდა
შენ რომ მოოლოდი გვერდითა,
სიცოცხლეგ ალაღებული
კლდეს გავანგრევდი მკერდითა.
რარიგად ვიამაყებდი,
ყელმოღერებულ გედითა,
ვერ გამტეხავდა ცხოვრება,
ძუდამ კმაყოფილს ბედითა.

* * *

გამეხარდა შენი ნახვა,
წამლად ექმენ ამ ჩემ წყლულსა,
ჩემი ნახვაც გაგეხარდა,
ვერ ფარავდი სიხარულსა.
შენც გიყვარვარ, მეც მიყვარხარ
ვერ ვამჟღავნებთ დაფარულსა,
შენ ტკბილი და მე სახთელი
სხვა რა უნდა სიყვარულსა.

* * *

ჩემ ქალაქლობა დაიწვას,
ჩემ ნადღები სადილი,
როდის ვარგოდა ქალაქში
კაცი, სოფელში გაზრდილი.
ვაჟკაცებს ნამუსი არ აქვთ,
ქალებს არ აკრავს მანდილი,
ყველას უფალი გამხდარა
ფული და გულის წადილი.

* * *

დილაადრიან წამოვსტი,
გაფუფე ბოლნისის გზაზედა,
ოჯახი მაზის კისერზე,
მივდივარ საშოვარზედა.
ვაი ქალაქელ კაცი ვარ,
ცხოვრება მიდგას ძარწყედა,
არა მყავს ცხვარი და ძროხა
გაყალალო საძოვარზედა.

* * *

„სიბერემდეო, სიქაჩლე“
ასე უთქვიათ ძველებსა,
კაცს, ცუდ საქმეზე ატეხილს,
რა ჯირი მოასვენებსა?
ედება ღობე-ეორესა
სიმწარით იმტვრევს ხელებსა,
რჩევა და ჯკუის სწაელება
ცოფივით გაახელებსა.
მამალ მგელივით ებღღვნება,
თუ რამეს მაიხელებსა,
ძალით აიღებს ნადაყლსა,
დამბაჩას დააღერებსა.

* * *

ლექსო, ნუმც გამითავდები
(ვიცოცხლოთ, მეც და შენაცა),
ძმურად გაყიეოთ საუთრო-
ერის ჯირე და ლხენაცა.
მამულს მივაჭეროთ, საყვარელს,
ჩვენი ხედვაც და სმენაცა,
მის სამსახურში დაეღალოთ
გული, გონება, რწმენაცა.
სხვაგ გარად ფასი არა აქვს
შრომას და ჯირთა თმენასა,
არც კაცის ეოფნას ამქვეყნად
და არც ფრანგ გულის ჯერასა.
ეს მცნება უპირველესი,
შეგვგ ნებისოთ ყველასა,
რომ მედგრად უნდა ვიცავდეთ
მამულს, ენას და რწმენასა.

* * *

დამდაბლდა ადამიანი,
სიმართლე ექცა ძრწოლადა,
კაცთა თავისი სიხარბე
ჭეოფნის ჯირად და ოქადა.

* * *

ავი კაცის ტახტზე ასვლა
მამულის ფესვს წალეკავსო,
„ეეგრში რომ ღორი ძეაბა,
ისიც კალოს გალეწავსო“.

ულოცავენ!

საბა გოგიშვილს!

ჩვენო საყვარელო, გილოცავთ დაბადების დღეს! ჯანმრთელი, ბედნიერი და მუდამ გახარებული გვენახე!

ბებია დოდო ტუსაშვილი
დედა მაკა, **მამა** თამაზი

მადლიერება

დედოფლისწყაროს სათნოების სახლის თანამშრომლები და ბენეფიციარები უღრმეს მადლობას ვუხდით დედოფლისწყაროს სიღნაღის რ-ნის სატყეო უბნის მცველს ილია დანელიანს შემოწირულობისათვის, (მოხუცებს მოუტანა ორი პირი შეშა) დიდი სითბოსთვის და გაჭირვებული ხალხის სიყვარულისთვის.

დაე, ღმერთმა ამრავლოს ასეთი გულისხმიერი ადამიანები. ვუსურვებთ ჯანმრთელობას. ულევ სიხარულს, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერ დამდეგ ახალ წელს!

იყიდება

2 ოთახიანი გარემონტებული, სუფთა ბინა 5 სართულიანი კორპუსის მე-2 სართულზე. სველი წერტილით, ცხელი წყლით. მის: ქ. დედოფლისწყარო, ბარათაშვილის ქ. №8 (ლურჯი კორპუსი)

599 92 36 34

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 15.12	სამშაბათი 16.12	ოთხშაბათი 17.12	ხუთშაბათი 18.12	პარასკევი 19.12	შაბათი 20.12	კვირა 21.12
დღე	6°	4°	4°	4°	6°	6°	6°
ღამე	4°	3°	3°	3°	4°	4°	4°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბულალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფირონმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K